თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობა
Local Government (Gamgeoba) of Tetritskaro Municipality

N 1173-1/11

26 სექტემბერი 2014 წელი
შპს „ალგორითმი"-ს დირექტორს
ბატონ გივი კორახაშვილს

ბატონო გივი,

როგორც მოგეხსენებათ, 2014 წლის სტანდარტული პერსონალური კომპიუტერების კონსოლიდირებული ტენდერის (CON140000021), ფარგლებში თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტსა და თქვენს ორგანიზაციას შორის 2014 წლის 06 ივნისს გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №92, რომლის მეორე მუხლის 2.1. პუნქტისა და მეოთხე მუხლის 4.1.1. ქვეპუნქტის საფუძველზე უნდა უზრუნველგეყოთ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტისათვის 22 ცალი სტანდარტული პერსონალური კომპიუტერის (მაგიდის კომპიუტერის) მოწოდება არაუგვიანეს 2014 წლის 21 ივლისისა, რომელიც დღემდე არ განგიხორციელებიათ, რის გამოც ხსენებული ხელშეკრულების მე-13 მუხლისა და 2014 წლის სტანდარტული პერსონალური და სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერების კონსოლიდირებული ტენდერის (CON140000021) სატენდერო კომისიის 2014 წლის 09 სექტემბრის სხდომის №8 ოქმის დადგენილების მე-2 პუნქტის გათვალისწინებით, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება ზემოხსენებული ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე.

ამასთანავე, 2014 წლის სტანდარტული პერსონალური და სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერების კონსოლიდირებული ტენდერის (CON140000021) სატენდერო კომისიის 2014 წლის 09 სექტემბრის სხდომის N8 ოქმის დადგენილების მე-3 პუნქტისა და 2013 წლის 7 მარტის N8 ბრძანებით დამტკიცებული "სტანდარტული პერსონალური და სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერების კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესის და პირობების" მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად გეკისრებათ ჩვენი ორგანიზაციის (თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი) სასარგებლოდ ჯარიმის გადახდა ხელშეკრულების საერთო ღირებულების (16603.18 ლარი) 5%-ის ოდენობით, რაც 830.16 (რვაას ოცდაათი ლარი და 88 თეთრი) ლარს შეადგენს.

გთხოვთ, აღნიშნული თანხა არაუგვიანეს 2014 წლის 1 ნოემბრისა ჩარიცხოთ შემდეგ ანგარიშზე: სახაზინო კოდი-300083270; ბანკი - LBRTGE22; ანგარიშის **GE02LB0120116397860000**.

დამატებით გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნული მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი "გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე-24 მუხლის მე-2 პუნქტისა და 2014 წლის სტანდარტული პერსონალური და სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერების კონსოლიდირებული ტენდერის (CON140000021) სატენდერო კომისიის 2014 წლის 09 სექტემბრის სხდომის N8 ოქმის შესაბამისად, დაუყოვნებლივ აცნობებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს.

პატივისცემით
ბესიკ წიკლაური
მუნიციპალიტეტის გამგებელი

საქართველო, თეთრიწყარო, თამარ მეფის ქუჩა №34 2300
Georgia, Tetritskaro district. 2300, Tetritskaro, tamar mefe st. 34
☎ ფაქს-ტელ; (359) 22-23-58